ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N33

ქ. თბილისი

27 აპრილი 2016 წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ლატარიის კომპანია"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, **შპს "საქართველოს ფოსტა"** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის გრიგოლ მატუაშვილის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი" ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების თანახმად შემსყიდველი ახორციელებს მიმწოდებლისაგან პრინტერის კარტრიჯების დატენვისა და ბარაბნების შეცვლის მომსახურების ეტაპობრივ შესყიდვას. შემდგომში „მომსახურება". (CPV კოდი: 50323000)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **2 000 (ორი ათასი) ლარი**, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით, ჩათვლით.
2.2. ერთეულის ფასები წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ №1-ში რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლისას, თუ მიმწოდებლის მიერ მიწოდებულმა საქონლის ღირებულებამ არ მიაღწია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების თანხას, მიმწოდებელს არ წარმოეშობა დარჩენილ თანხაზე მოთხოვნის უფლება და შემსყიდველი არ არის ვალდებული მოახდინოს აღნიშნული თანხის ანაზღაურება მიმწოდებლისათვის, ან ამ თანხის სხვაგვარად გახარჯვა საქონლის შეკვეთის მიზნით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, მისი წამრმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიღება-ჩაბარება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანიის" შესყიდვების კოორდინატორი – მაია კუჭაშვილი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედ. #2.

5.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება ეტაპობრივად 2016 წლის 31 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 1 იანვარს და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე.
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
9.2.1. მოქმედების ვადის გასვლა;
9.2.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
9.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.
9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველის მიერ შესყიდული საქონლის თანხა მიაღწევს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდება ავტომატურად.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე ეგზემპლარი „შემსყიდველს"

11. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"
შპს ,,საქართველოს ლატარიის კომპანია"
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
ს/კ 204568208
ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE28LB0113121375356003

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

"მიმწოდებელი"
შპს ,,საქართველოს ფოსტა"
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს „პრივატ ბანკი"
ბანკის კოდი: GAVOGE22
ა/ა GE88TP0034080020000642

გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე
გრიგოლ მატუაშვილი

დანართი №1

№	დასახელება	კარტრიჯის დატენვა	ბარაბანის შეცვლა
1	64 A	40 ლარი	40 ლარი
2	36 A	12 ლარი	25 ლარი
3	85 A	12 ლარი	25 ლარი
4	35 A	12 ლარი	25 ლარი
5	53 A	35 ლარი	40 ლარი
6	HP 530 A (შავი)	50 ლარი	40 ლარი
7	HP 531 A (ლურჯი)	50 ლარი	40 ლარი
8	HP 532 A (ყვითელი)	50 ლარი	40 ლარი
9	HP 533 A (წითელი)	50 ლარი	40 ლარი

შემსყიდველი:

გენერალური დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

მიმწოდებელი:

გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე
გრიგოლ მატუაშვილი